

# 6

## ქართული ენა

მოსწავლის წიგნი

**წინო გორღელაქე  
თინათინ კუხნიანიქე**



გაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს  
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

# სარჩევი

## რა ვიცი ფონეტიკიდან? ..... 4

- სამეტყველო ბგერა ..... 4
- მჟღერი და ყრუ თანხმოვნები ..... 5
- ფონეტიკური მოვლენები ..... 7
- ფონეტიკური მოვლენა და სიტყვის ისტორია . . 8
- საკითხები ქართული ენის ფონეტიკიდან . . . . 10

## რას უწოდებენ გრამატიკას? ..... 12

### სიტყვის შინაარსი ..... 15

- სიტყვის ამორჩევა შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვებიდან ..... 16
- სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა ..... 18
- მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა ..... 19
- სინონიმები ..... 22
- რამ შეიძლება გააჩინოს ენაში სინონიმები? . . 23
- შინაარსობრივი სხვაობა სინონიმებს შორის . 24

### სიტყვათა კლასი – არსებითი სახელი . . 32

- არსებითი სახელი და თანდებული ..... 32
- თანდებული „-ვით“ ..... 33
- თანდებული „-გან“ ..... 34
- გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები . . . 35
- ძველი და თანამედროვე ფორმები ..... 35
- მიცემითი ბრუნვის თანდებულები ..... 36
- ისევ თანდებულთა შესახებ ..... 38
- ცალკე მდგომი თანდებულები ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან ..... 40
- ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით ..... 41

### სიტყვათა კლასი – ზედსართავი სახელი, მისი წარმოქმნა ..... 42

### სიტყვათა კლასი – რიცხვითი სახელი . 48

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი – რამდენი? ..... 48
2. რიგობითი რიცხვითი სახელი – მერამდენე? რომელი? ..... 49
3. წილობითი რიცხვითი სახელი – მერამდენედი? ..... 51
4. დეფისი რიცხვით სახელთან ..... 52
5. არაბული და რომაული ციფრებით გამოსახული რიცხვი ..... 53
6. ნარ-თანიანი მრავლობითი რიცხვით სახელთან ..... 54

### სიტყვათა კლასი – ნაცვალსახელი ..... 55

- ნაცვალსახელთა ჯგუფები ..... 55

## სიტყვათა კლასი – ზმნა ..... 59

- ზმნაში რიცხვის გამოხატვა ..... 60
- ზმნის უღლება – ფორმაცვალება ..... 62
- ზმნა და გრამატიკული პირები ..... 64
- სუბიექტური პირის ბრუნვები ..... 65
- ობიექტური პირები ..... 66
- ირიბობიექტიანი ზმნის მართლწერის წესები . 67
- ზმნის მართლწერის საკითხები ..... 69
- ზმნა; სრული და უსრული მოქმედება ..... 70
- ზმნის ფორმის სისრულე და დრო ..... 71
- ზმნის კილო ..... 73
- სასხვისო და სათავისო მოქმედება (შესწავლილი გრამატიკული საკითხის გამეორება) ..... 73

### საკითხები კვლევი ქართული ენის გრამატიკიდან („ვეფხისტყაოსნის“ ნიშნებით) ..... 74

1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი – მან ..... 74
2. სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ..... 74
3. მსაზღვრელისა და საზღვრულის წყობა . . . 75
4. საკუთარი სახელები ფუძის სახით ..... 76

### სიტყვათა კლასი – ზმნიზედა ..... 77

### სიტყვათა კლასი – კავშირი ..... 79

- მაერთებელი კავშირები ..... 81
- მაქვემდებარებელი კავშირები ..... 84

### სიტყვათა კლასი – შორისდებულნი ..... 86

### სიტყვათა კლასი – ნაწილაკი ..... 90

1. კითხვითი ნაწილაკები ..... 90
  2. მიგებითი ნაწილაკები ..... 91
  3. უარყოფითი ნაწილაკები ..... 91
  4. განუსაზღვრელობითი ნაწილაკები ..... 92
  5. სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ..... 93
  6. გაძლიერებითი ნაწილაკები ..... 94
  7. ნატვრის გამომხატველი ნაწილაკები ..... 94
  8. სხვადასხვა დანიშნულების ნაწილაკები: . . 94
- შემაჯამებელი სამუშაო ..... 96

რუბრიკა „იცნობდეთ!“ (ცნობები ქართველ ენათმეცნიერთა შესახებ) . . 11, 21, 47, 54, 58, 85

ქართული ენის მე-6 კლასში შესასწავლი კურსი  
სიტყვის უმცირესი ნაწილით – **ბგერით** დავიწყოთ:

## სამეტყველო ბგერა

### ! გაიხსენე

**სამეტყველო ბგერა** სიტყვის უმცირესი ნაწილია.

**ასო** სამეტყველო ბგერის გრაფიკული ანუ წერილობითი ნიშანია.

ქ უ ჩ ი ქუჩი

### 🔍 დააკვირდი

ერთი ბგერის შეცვლა სიტყვას უცვლის:

ა) მნიშვნელობას: **ბ**ალახი – **ტ**ალახი; **ქ**ანი – **კ**ანი; **ლ**ოდი – **ზ**ოდი...

ბ) ფორმას: **მ**იამბობ – **გ**იამბობ; **მ**ივწერ – **მ**ისწერ; **მ**ივალ – **მ**ოვალ...

### ! დაიმახსოვრე

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც სამეტყველო ბგერებს შეისწავლის, **ფონეტიკა** ეწოდება.

სიტყვა **ფონე** ბერძნულ ენაზე ხმას, ბგერას ნიშნავს.

## რა ვიცით ფონეტიკიდან?

### ! გაიხსენე

წარმოთქმის მიხედვით, სამეტყველო ბგერა ორგვარია:

**ხმოვანი** და **თანხმოვანი**.

### ! უპასუხე

- რამდენი ხმოვანია ქართულ ენაში?
- რამდენია თანხმოვანი?

## ! გაიაზრე

ენათმეცნიერთა განმარტებით, ხმოვანი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოქმნის დროს ადამიანის ფილტვებიდან ჰაერი თავისუფლად, დაუბრკოლებლად ამოდის.

თანხმოვანი კი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოსათქმელად ფილტვებიდან ამონასუნთქ ჰაერის ნაკადს დაბრკოლების გადალახვა უწევს.

თანხმოვნების წარმოქმნისას ჰაერის ნაკადს სხვადასხვა ორგანო აფერხებს: ენა, კბილები, ბაგეები, ცხვირის ღრუ.

## ! შეადარე

- წარმოთქვი ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ.
- წარმოთქვი თანხმოვნები: ბ, პ, ფ; გ, კ, ქ; დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჭ, ჩ; ლ, ყ, ხ; ლ, რ, ნ, მ...

## დავალება

შეადარე ქართული ენის ბგერითი შედგენილობა იმ უცხოური ენისას, რომელსაც შენ სწავლობ; რომელი თანხმოვნები არ აქვს მას, ქართულისაგან განსხვავებით?

## მჟღერი და ყრუ თანხმოვნები

ყველა ხმოვანი მჟღერია. რატომ?

იმიტომ, რომ მათი წარმოქმნისას ადამიანის სახმო სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერს.

სახმო სიმები, ასევე, ირხევა და ჟღერს **13** თანხმოვნის წარმოქმნისას.

**მჟღერი თანხმოვნებია:** ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, ყ, რ, ღ, ძ, ჯ.

როდესაც სიტყვაში რამდენიმე თანხმოვანი თავს იყრის, მათი წარმოქმნისას

**მჟღერი** მკვეთრად ისმის: წრფელი, ფრთხილი, მტკნარი, მსხვილი...

დანარჩენი **15** თანხმოვანი ყრუ ბგერებია – მათი წარმოქმნის დროს სახმო სიმები არ ირხევა, ამიტომაც ბგერა ყრუდ მოისმის.

**ყრუ თანხმოვნებია:** თ, კ, პ, ს, ტ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, ნ, ჭ, ხ, ჰ.

## ! დაიმახსოვრე

წარმოთქმის მიხედვით, ყრუ ბგერა ორგვარია: **მკვეთრი** ან **ფშვინვიერი**. მაგალითად, **პ** მკვეთრია, **ფ** – ფშვინვიერი.

## ! გაიაზრე

- **ყრუ მკვეთრი** თანხმოვნების წარმოსათქმელად საკმარისია ჰაერის ის მარაგი, რომელიც ადამიანის პირის ღრუში არის დაგროვილი.
- **ყრუ ფშვინვიერ** თანხმოვანთა წარმოთქმისას კი ფილტვებიდან ამოდის ჰაერის დიდი ნაკადი და ფშვინვა ისმის.

განსხვავების შესამჩნევად, ფურცელი მიიტანე პირთან და წარმოთქვი:

**მკვეთრი:** პ კ ტ ნ ქ

**ფშვინვიერი:** ფ ქ თ ც რ

## დავალება

1. გამოიყენე გაკვეთილის მასალა და დაადგინე, როგორი თანხმოვნები სჭარბობს სიტყვათა წყვილებში:

ა) მჟღერი თუ ყრუ?


ბუჩქი – კლდე, ფესვი – ფიფქი, ბარტყი – სეტყვა, ფიქრობს – ზრუნავს.

ბ) ყრუ მკვეთრი თუ ყრუ ფშვინვიერი?

ქუჩი – ქოტი, ჭყვივს – ჩხავის, აფთარი – პატარა, ყუნჭი – ქათიბი.

2. დააკვირდი თანხმოვანთა სამეულს, გადაიხაზე რვეულში ცხრილი და შეავსე:

სამეულები	მჟღერი	ყრუ, მკვეთრი	ყრუ, ფშვინვიერი
ბ პ ფ			
გ კ ქ			
დ ტ თ			
ძ ნ ც			
ჯ ჭ რ			



# ფონეტიკური მოვლენები

## გაკვეთილი I

### 🔍 დააკვირდი

რა განსხვავებაა ძველი ქართულისა და თანამედროვე ენის ამ ფორმებს შორის?  
 ტრედი → მტრედი  
 სიტყვის ძველ ფორმას ბგერა დაემატა.

### ! დაიმახსოვრე

სიტყვაში ბგერით ცვლილებას **ფონეტიკური მოვლენა** ჰქვია.

### ! გაიხსენე

არსებითი სახელების **კვიცა** და **კუმშვა** **ფონეტიკური მოვლენებია**.

### 🔍 დააკვირდი

ხე – ხე~~ის~~ ჩურჩული  
 თუთა – თუთა~~ის~~ ხე

წყალი – წყა~~ლის~~ რაკრაკი  
 პეპელა – პეპე~~ლას~~ ფრთა

## ფონეტიკური მოვლენებია:

### 1. ბგერის დაკარგვა:

ა) დაიკარგა თანხმოვანი  
 ცისსარტყელა → ცისარტყელა

ბ) დაიკარგა ხმოვანი  
 დედა-მამა → დედ-მამა

### 2. ხმოვნის დასუსტება: მინდ~~ღ~~რი – მინდ~~ვ~~რის ყვაველი

### 3. ბგერათა გადასმა: რვა → თვრამეტი

### 4. ბგერათა შერწყმა: ბედ~~შ~~ავი → ბეჩავი

### 5. ბგერის გაჩენა:

ძველად: ტრედი, ვეცხლი, წმიდა  
 ახლა: მტრედი, ვერცხლი, წმინდა

### 6. ბგერის დამსგავსება ან, პირიქით, განმსგავსება:

ძველად: სიმშილი ლელწამი ლბილი,  
 ახლა: შიმშილი ლერწამი რბილი

# ფონეტიკური მოვლენა და სიტყვის ისტორია

შეადარე ერთმანეთს რიცხვითი სახელები ძველსა და თანამედროვე ქართულ ენაში:

ათერთმეტი – თერთმეტი	ათექვსმეტი – თექვსმეტი
ათორმეტი – თორმეტი	ათშვიდმეტი – ჩვიდმეტი
ათსამმეტი – ცამეტი	ათრვამეტი – თვრამეტი
ათოთხმეტი – თოთხმეტი	ათცხრამეტი – ცხრამეტი
ათხუთმეტი – თხუთმეტი	

- სანყისი „ა“ ხმოვანი, ათის ნაწილი, ყველგან დაკარგულია;
- დააკვირდი, რომელი ფონეტიკური მოვლენის მაგალითია – **ცამეტი**?
- კიდევ რომელ რიცხვით სახელში **შეერწყა** ერთმანეთს თანხმოვნები და ერთ სამეტყველო ბგერად გარდაიქმნა?
- რომელია **ბგერათა გადასმის** მაგალითი?
- რომელმა სახელმა **დაკარგა** ხმოვანთან ერთად **თანხმოვანიც**?

## ! დამახსოვრე

ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია ნორმად იყოს მიჩნეული ორი მართებული ფორმა – ენაში გაჩნდეს ე.წ. **პარალელური ფორმები**. გაეცანი ამგვარ ნიმუშებს ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან:

ცდომილება (// ცთომილება)      ცდუნება (// ცთუნება)

### ვეძიოთ შეცდომის მიზეზები

წიგნიერი, განათლებული ადამიანი ენაში დადგენილ ნორმებს იცავს. თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით:

მართებულია:	მცდარია:	
კარგი	კარჭი	გ კ ქ
ტკბილი	ტკპილი	ბ კ ფ
ფრჩხილი	ბრჩხილი	ბ კ ფ
ფრთხილი	ბრთხილი	ბ კ ფ
ღვთის ნება	ხვთის ნება	ღ ხ
მშვიდად	მშვიდაფ	დ ტ თ

- ჩამოთვლილთაგან რომელ მცდარ ფორმებში **ყრუვდება** მართებული ფორმების **მჟღერი** თანხმოვანი? იპოვე და დაასახელე ამგვარი შეცდომის ოთხი მაგალითი.
- რომელ მცდარ ფორმებში შეცვლილა მართებულ ფორმათა **ყრუ** თანხმოვანი **მჟღერით**?

## ! განმარტე

რომელი ფონეტიკური მოვლენით აიხსნება შეცდომა შემდეგ მაგალითებში?

მართვეული:	მცდარი:
ბრტყელი	პრტყელი
საფრთხე	საბრთხე
აღშფოთდა	ახშფოთდა

## ! დანერე

შეადგინე წინადადებები, რომლებშიც მართველ ფორმებს გამოიყენებ: მშვიდად, ფრთხილად, სიბრტყე, სიტკბო, საფრთხე, აღშფოთდა.

## გაკვეთილი II

### ! გაიაზრე

გრამატიკის ცოდნა დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ფონეტიკური მიზეზით გამოწვეული შეცდომები:

1. შენ იცი, რომ **ად** ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ამიტომ, სწორია ითქვას და დაიწეროს:  
მშვიდა**დ**, ნაზა**დ**, გრძნობა**დ**, ლექსა**დ**...

2. ასევე, იცი, რომ **თ** ბოლოსართი ზმნის მრავლობითის ფორმას დაერთვის:

მართვეულია:	მცდარია:
ვისაუბრო <b>თ</b>	ვისაუბრო <b>დ</b>
გავაკეთო <b>თ</b>	გავაკეთო <b>დ</b>

3. ზოგიერთ ზმნას დაერთვის ზმნისწინი **ად**;  
მართვეულია – აღწერს, მცდარია – ახწერს.

### დავალება

1. განმარტე, რა შეცდომაა დაშვებული მცდარ ფორმებში:

- ა) მართვეულია სპორტსმენი – მცდარია სპორცმენი;
- ბ) მართვეულია გვერდზე – მცდარია გვერძე.

2. დააკვირდი შოთა რუსთაველის პოემის სტრიქონებს:

„სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“ ...

„რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე“ ...

იპოვე ამ სტრიქონების საერთო სიტყვა, შეადარე თანამედროვე ენის ფორმას და განმარტე, რომელი ფონეტიკური მოვლენის ნიმუშია ის?



# საკითხები ქართული ენის ფონეტიკიდან

ქართული ენის ბგერათა სისტემისათვის დამახასიათებელია:

**1.** თანხმოვანთა სიმდიდრე-მრავალფეროვნება და ხმოვანთა სიმარტივე. ოცდაცამეტი ბგერიდან ხმოვანი მხოლოდ ხუთია (ა, ე, ი, ო, უ) და ყველა მარტივია; ქართულში არ არის არც გრძელი და არც უმლაუტიანი ხმოვნები, როგორც, მაგალითად, გერმანულში (ä, ö, ü...).

**2.** ქართული ენის თანხმოვნები ქმნიან:

**წყვილეულებს:**

ს – ზ

ღ – ხ

ყ – შ

...

**სამეულებს:**

ბ – პ – ფ

გ – კ – ქ

დ – ტ – თ

ძ – წ – ც...

**ცალეულებს:**

ლ

რ

ნ

მ...

თანხმოვანთა ყოველი სამეული შეიცავს:

**მჟღერს,**

**ყრუ მკვეთრს,**

**ყრუ ფშვინვიერს.**

**3.** როგორც წესი, ქართული სიტყვის ფუძეში გვერდიგვერდ არ გვხვდება ორი ერთნაირი თანხმოვანი ან ხმოვანი. თუ სიტყვა უცხო წარმომავლობისაა, ორი თანხმოვნის ნაცვლად ერთიღა გვრჩება:

**პრესა** (და არა: პრესსა, შეადარე რუსული пресса, ფრანგული presse);

**პროგრამა** (და არა: პროგრამმა, შეადარე რუსული программа) და სხვ.

უცხო წარმომავლობის სიტყვებში ორი ერთნაირი ხმოვანი არ მარტივდება, რჩება. მაგალითად: **საარის** მხარე, ქალაქი **ჭაავა**, მდინარე **მაასი** და სხვ.

**4.** ორი ერთნაირი თანხმოვანი ქართულ სიტყვაში თავს იყრის და რჩება მაშინ, თუ ერთი მათგანი ფუძისეულია, მეორე – აფიქსისეული (თავსართისა და ბოლოსართისა). მაგალითად:

**ა) მ-მართებს, ვ-ვარდებით** და სხვ.

**ბ) გემ-მა, თბილის-ს** და სხვ.

**გ) ვაზ-ზე, მუხამბაზ-ზე** და სხვ.

ამავე რიგის მაგალითებია **-თან** და **-ში** თანდებულების დართვის შემთხვევა: ყუთ-თან, საათ-თან, ქარქაშ-ში, ბალიშ-ში.

## დავალება

- განმარტე, თუ რატომ გაჩნდა ორი ერთნაირი თანხმოვანი:
  - ა) ზმნებში – მმართვეს, ვვარდები;
  - ბ) სახელებში – გემმა, თბილისს.
- გაიხსენე თანხმოვანთა სამეულები და ივარაუდე, რა მოსალოდნელ შეცდომებს დაუშვებს ქართულად საუბრისას ადამიანი, რომლის მშობლიურ ენაში არ არის თანხმოვნები: წ, ქ, ქ. (წელი, ქალა, ქარი).
- როგორ დაასაბუთებ, რომ სიტყვები – საათი, ბაასი – წარმომავლობით არ არის ქართული?
- შენ იცი, რომ ზ – ს და ყ – შ თანხმოვანთა წყვილებია. გამოიყენე ფონეტიკის ცოდნა, ახსენი დაშვებული შეცდომების მიზეზი და ჩაწერე მართებული ფორმები:
  - ა) [ მიზდევეს კი არა ] – ...
  - ბ) [ მზგავსი კი არა ] – ...
  - გ) [ ვაშკაცვი კი არა ] – ...
- განმარტე, რა არის ორთოგრაფიული ლექსიკონის დანიშნულება.
- ორთოგრაფიული ლექსიკონის დახმარებით, გაასწორე შეცდომები:
 

ა) აფსურდი;	ბ) აკცენტი;
გ) აღრჩობს;	დ) ათვარიელებს;
ე) აბრთხობს	ვ) ხვთისნიერი
ზ) გაპრტყელებული;	
- ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების მართებული ფორმებით შეადგინე 7 წინადადება.


## იცნობდეთ!

### აკაკი შანიძე (1887-1987)

აკაკი შანიძის სახელი მჭიდროდ უკავშირდება ქართული ენათმეცნიერების განვითარებას. მისი ნაშრომები ეხება ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს. განსაკუთრებით დიდია აკაკი შანიძის დამსახურება ძველი ქართული ენის ძეგლთა ტექსტების აღმოჩენაში, შესწავლასა და გამოცემაში.

მეცნიერი მუდმივად ზრუნავდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგებასა და დანერგვაზე. 1939 წლიდან სკოლებში ისწავლება აკაკი შანიძის მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“.

აკაკი შანიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი.



# რას შეისწავლის გრამატიკა

## ! გაიხსენე

ენათმეცნიერების დარგი **ფონეტიკა** სამეტყველო ბგერებს შეისწავლის. რას სწავლობს **გრამატიკა**?

## ! გაიაზრე

გრამატიკა **სიტყვებსა** და **წინადადებებს** შეისწავლის.

გრამატიკას ორი ქვედარგი აქვს: **მორფოლოგია** და **სინტაქსი**.

ამათგან პირველი **სიტყვის** აგებულებას შეისწავლის, მეორე კი – **წინადადებისას**.

განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ:

**მორფოლოგია** – (ბერძნულად *morphe* – ფორმა, *logos* – სიტყვა) – გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ფორმაცვალების წესებს.

**სინტაქსი** (ბერძნულად *syntaxis* – შეერთება, შედგენა) – გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს წინადადების აგებულებას, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს.

## 🔍 დააკვირდი

**ფონეტიკა** შეისწავლის სამეტყველო **ბგერას**;

**მორფოლოგია** – **სიტყვას** (მის აგებულებას);

**სინტაქსი** – **წინადადებას**.

## ! გაიხსენე

რა ვიცით **მორფოლოგიიდან**?

ენათმეცნიერებმა აგებულებითა და დანიშნულებით ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტყვები სხვადასხვა კლასში გაანაწილეს. სიტყვათა ცალკეულ კლასს სათანადო ტერმინით აღნიშნავენ. გაიხსენე შენთვის უკვე ცნობილი ტერმინები: **არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა**.

## დავალება 1

1. გამოიყენე წინა წლებში შეძენილი ცოდნა და განმარტე, რომელ კლასს მიეკუთვნება ამ წინადადებათა შემადგენელი ცალკეული სიტყვა:
  - ა) ჩარჩი გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს.
  - ბ) სანყალი ბავშვი მიადგებოდა ხეს.
  - გ) გულში მფიფქავდა ერთი მოგონება. (გ. ლეონიძე, „ჩვენი ჭერამი“)
2. განმარტე, რატომ არის ერთსა და იმავე კლასში ეს სიტყვები:
  - ა) ჩარჩი, ბავშვი, ჭერამი, ხე, გული, მოგონება.
  - ბ) კრეფდა, მიადგებოდა, მფიფქავდა.
  - ამათგან რომელი იბრუნვის? რომელი იუღლება?
  - რომელში გამოიხატება დრო: წარსული, აწმყო თუ მომავალი?
3. სიტყვათა რომელ კლასს მიეკუთვნება: სანყალი? ერთი? ჩემს (ჩემი)? გულმოდგინედ?

## ! გაიხსენე

რა ვიცით **სინტაქსიდან**?

წინადადება, სათქმელის მიმართ მთქმელის დამოკიდებულების მიხედვით, ხუთგვარია: **თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვით-ძახილის**. ნაწერში წინადადების ხუთივე სახეს მისთვის განკუთვნილი ნიშანი ემატება.

## დავალება 2

აღნიშნე, რომელი მაგალითი შეესაბამება წინადადების ზემოთ ჩამოთვლილ ცალკეულ სახეს:

- ა) ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!
- ბ) აღი, ბიჭო, დაარხიე, დაკრიფე, გაიხარე!
- გ) შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი.
- დ) რაღად უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ქალებში?
- ე) მაგრამ, იცით, რა მოხდა?!

(წინადადებები ამოკრებილია გ. ლეონიძის მოთხრობიდან „ჩვენი ჭერამი“)